თემა: დაზღვევა

საათების სავარაუდო რაოდენობა - 7 სთ.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

დაზღვევა გვეხმარება ფინანსური რისკების შემცირებაში ან თავიდან აცილებაში.

***დაზღვევის არსი**
(რა არის დაზღვევა? სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი დაზღვევა. დაზღვევის ტიპები)
***ზოგადი რჩევები დაზღვევის შეძენისას**
(გვჭირდება თუ არა დაზღვევა? რა უნდა იცოდეთ სადაზღვევო პროდუქტის შეძენამდე და მას შემდეგ რაც დაზღვევას შეიძენთ?)
***სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვა**
(მომხმარებლისთვის გადასაცემი დოკუმენტების სტანდარტი. მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა. მზღვეველთა პასუხისმგებლობები, როგორ უნდა მოვიქცეთ თუ პრეტენზია გვაქვს).

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:

*როგორ დაგვეხმარება დაზღვევა ფინანსური რისკების არიდებაში?

* როგორ ვიურთიერთო საერთაშორისო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან?

* რატომ სჭირდება მოქალაქეს კანონების ცოდნა?

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:

*რისკები და დაზღვევა

*მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)	**I ეტაპი**		**კომპლექსური დავალება/ დავალებები** (შუალედური სასწავლო მიზანი)
	საკითხი/ქვეცნება	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**	
	დაზღვევა	1.რა არის დაზღვევა? 2.გვჭირდება თუ არა დაზღვევა?	

<table>
<tr>
<td>

სოციალიზაცია
(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)

- ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,3,4,5,6, 7,8,9,12,13)**;

დემოკრატია
(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)

- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების (შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება, საკუთრების უფლება) დაცვის მექანიზმების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13)**;

სამოქალაქო მონაწილეობა

</td>
<td>

აქტივობები:

ეტაპი I -კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

*რა არის საინფორმაციო ფლაერი?

*რა არის საინფორმაციო ფლაერის მიზანი?

*რა ინფორმაციის დატანა შეიძლება ფლაერში?

*რა შედეგი მოყვება მოქალაქეთა ინფორმირებულობას დაზღვევასთან დაკავშირებით?

*გიფიქრია თუ არა მომავალში შენი ქონების ან ჯანმრთელობის დაზღვევაზე?

რესურსები:

როგორ შევქმნათ ფლაერი - https://bit.ly/46G9PsG

QR Code

</td>
<td>

დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ ხარ ბანკის თანამშრომელი, რომელსაც ევალება მოამზადოს საინფორმაციო ფლაერი. ინფორმაციაზე დაყრდნობით შეადგინე საინფორმაციო ფლაერი, სადაც დაიტან ყველა იმ ინფორმაციას ქონების/ ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ, სადაც გამოყოფ დაზღვევის ტიპებს და განმარტავ პირობებს რასაც დაზღვევა ითვალისწინებს, რა რისკები ახლავს თან. შენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია გაკვეთილზე გააცანი თანაკლასელებს.

</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">• სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);
მდგრადი განვითარება
• ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ.5,6, 7, 8, 10, 11, 13).</td><td colspan="2"></td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">II ეტაპი</td><td rowspan="3">ნაშრომში / ფლაერში

ხაზგასმით წარმოაჩინე:

*რა არის დაზღვევა

*გვჭირდება თუ არა დაზღვევა

*დაზღვევის ტიპები

*რატომ უნდა იზრუნოს ადამიანმა საკუთარ ქონების/ ჯანმრთელობის დაზღვევაზე, პირადი ან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით.

*მის მიერ გაღებული მცირე ფინანსები, როგორ აარიდებს/ შეამცირებს ქონებასთან/ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს და დანახარჯებს სამომავლოდ.

*დაზღვევის შემთხვევაში მომხმარებლისთვის გადასაცემი დოკუმენტები, მათი უფლებები და პასუხისმგებლობა.</td></tr>
<tr><td>საკითხი/ქვეცნება</td><td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები</td></tr>
<tr><td>*დაზღვევა და

რისკები</td><td>1.რა უნდა ვიცოდეთ

დაზღვევის შესახებ (უფლებები

და მოვალეობები) .

2.როგორ დაგვეხმარება დაზღვევა

ფინანსური რისკების თავიდან

არიდებაში?</td></tr>
</table>

			*რა გავლენას იქონიებს საინფორმაციო ფლაერის გაცნობა მოქალაქეებზე
	აქტივობები: **1.კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა** სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევასრულო მოცემული დავალება? **2.გონებრივი იერიში:** *გიფიქრიათ რომ ხანდახან მოულოდნელი ცვლილებები ხდება ცხოვრებაში? რა რისკები ახლავს ცხოვრებას? *არსებობს მოსალოდნელი და მოულოდნელი რისკები, უმკლავდება თუ არა ადამიანი ყოველთვის ამ რისკებს და მისგან მიღებულ ზიანს/ზარალს? *რა რისკები შექმნეს ადამიანებმა ზარალის შესამცირებლად? *გისარგებლიათ სადაზღვევო სისტემით? *მომავლის პერსპექტივებში არის თუ არა დაზღვევა მეტი გარანტი ჩვენთვის? *როგორი სახის დაზღვევა იცით?		

	*რას გულისხმობს ქონების/ჯანმრთელობის დაზღვევა? *რას მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება? **3.იმუშავეთ წყვილებში**: ტექსტზე მუშაობა- სახელმძღვანელო ფინედუს გვერდზე ინფორმაციის გაცნობა- დაზღვევა -https://bit.ly/3tinqIb **4.სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელთან შეხვედრა** -- დისკუსიის მოწყობა. **5. შემთხვევის ანალიზის განხილვა:** ნიკას ისტორია-ნამდვილი ამბავი (იხ. დანართი) **6.ინფორმაციის დახარისხება:** *რა არის დაზღვევა? *როგორი ტიპის დაზღვევა არსებობს? *რას ითვალისწინებს სადაზღვევო პაკეტი? *რა რისკები ახლავს თან დაზღვევას? *რას მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება? 7. **პრეზენტაცია** კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან	

	ინდივიდუალური. (მაგ. 1.როგორ დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? 2.რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დადეგმვისას? 3. რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პრეზენტაციის მოსამზადებლად? 4.რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით? 5.რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებებზე მუშაობისას? და ა.შ,)	
	რესურსები: სახელმძღვანელო ფინედუს გვერდზე ინფორმაციის გაცნობა- დაზღვევა -https://bit.ly/3tinqIb	

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორი/ ინდიკატორები მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სოციალიზაცია *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)*

- ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,3,4,5,6, 7)**;

დემოკრატია *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)*

- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების (შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება, საკუთრების უფლება) დაცვის მექანიზმების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);**

სამოქალაქო მონაწილეობა

- სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);**

მდგრადი განვითარება

- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საბ.5,6, 7, 8, 10, 11, 13).**

მანანა მჭედლიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	სამიზნე ცნება	სოციალიზაცია	დემოკრატია	სამოქალაქო მონაწილეობა	მდგრადი განვითარება
SOLO 1: პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/ კომპლექსური დავალების პირობას. მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/ დავალების კრიტერიუმებს. დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა. პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა.				
SOLO 2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.	მოსწავლის მსჯელობა შესწავლილ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/ სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით. მოსწავლის ნამუშევარი არის ძალიან მოკლე, ცდილობს ახსნას დაზღვევის არსი ზედაპირულად და არასრუქტურულად.				
SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესწავლილ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. მოსწავლე გამოკვეთს საკითხს- დაზღვევა. ასახელებს დაზღვევის ტიპებს და მოსალოდნელ რისკებს. მოსწავლე დაასახელებს რისკებს, გამოკვეთს პრობლემას, ისაუბრებს სადაზღვევო პაკეტის მნიშვნელობაზე, მაგრამ ვერ ამყარებს მიმართებებს ამ ასპექტებს შორის.				

გამოყენება; პროცედურების შესრულება; სხვ.	
SOLO 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მოსწავლე თანმიმდევრულად და მწყობრად გადმოსცემს დაზღვევის საკითხებს, მის მნიშვნელობას. გამოკვეთს სამიზნე ცნებას მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. დემოკრატიული კუთხით, პარალელს ავლებს სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობაზე, მდგრადი განვითარების მიმართულებით. მსჯელობს დაზღვევის მნიშვნელობაზე, ხედავს მომავლის რისკებს და დაზღვევის დადებით მხარეებს. ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს დაზღვევასა და რისკებს შორის. საინფორმაციო ფლაერში გამოკვეთილია დაზღვევის აუცილებლობა, ხელშეკრულება-მომხმარებლის უფლებები, პასუხისმგებლობა და მოსალოდნელი რისკები.
SOLO5:<u>გაფართოებული აბსტრაქტული დონე</u> მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.	მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საკითხის ფარგლებში გამოყოფილ ყველა სამიზნე ცნებაზე. იცის რა არის დაზღვევა, რა რისკები ახლავს დაზღვევას თან და რას მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება. მსჯელობს მომავლის პერსპექტივებში დაზღვევის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე. მოსწავლე სრულყოფილად წარმოადგენს საინფორმაციო ფლაერს. სიღრმისეულად იაზრებს ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. საინფორმაციო ფლაერში ჩანს, რომ მოსწავლე ფლობს მასალას დაზღვევასთან მიმართებაში, კერძოდ ნაშრომში გამოკვეთილია დაზღვევის ტიპები, მნიშვნელობა და რისკები. მსჯელობს და ასაბუთებს დაზღვევის მნიშვნელობას მომავლის პერსპექტივებში. თანმიმდევრული და გააზრებული პასუხები აქვს, საკითხი უფრო ფართო პერსპექტივაშია წარმოდგენილი. გამოთქვამს მოსაზრებებს და ასაბუთებს რომ ქონების /ჯანმრთელობის დაზღვევა აუცილებელი და ნებაყოფლობითია.

მანანა მჭედლიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა

ფინედუ

დანართი:

ნიკას ისტორია

ნიკამ მშობლებისგან მიიღო უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, გააშენა მრავალწლიანი ნარგავები ატმის და ყურძნის ბაღები. დღეს როგორც ვიცით 21-ე საუკუნეში ხშირია ბუნებრივი კატასტროფები, ერთ-ერთია სეტყვა, რომელიც სოფლის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს. ნიკას არ ქონდა ინფორმაცია ქონების დაზღვევის შესახებ, ამიტომ მას სტიქიურმა მოვლენამ მოსავალი დაუზიანა იმ წელს დაზარალებული დარჩა და შემდეგი წლისთვის უწევდა ფიქრი, როგორ დაემუშავებინა თავისი მიწები. ნიკამ შეიტყო დაზღვევის შესახებ, გაარკვია რა პირობებს სთავაზობდნენ სადაზღვევო კომპანიები. მას მოეწონა შეთავაზებული პირობები და გადაწყვიტა თავისი ქონების დაზღვევა. ის იხდის მინიმალურ თანხას, როდესაც მოსავალს სტიქიური მოვლენა - სეტყვა დააზიანებს, სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლები მიდიან შემთხვევის ადგილზე, შეისწავლიან დაზიანების ხარისხს, რის შემდეგაც ხდება ზიანის ანაზღაურება.

კითხვები:

1.რამდენად მნიშვნელოვანის შენი ქონების/ჯანმრთელობის დაზღვევა?
2.იმსჯელეთ სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა ნიკამ და რატომ?
3.შენი აზრით მნიშვნელოვანია თუ არა მოსახლეობის ინფორმირებულობა დაზღვევასთან მიმართებაში და რატომ?